ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N7

დაბა ქედა, 26 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა 13:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე- კომისიის წევრი;
რომან დავითაძე - კომისიის წევრი.
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:
ჯემალ ტაკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

26.12.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	
8	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის-წესრიგი:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ აღნიშნა, რომ 2024 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით (წერილის ნომერი: №12- 95233192-95, 15.11.2023 წელი) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში წარდგენილი იყო წინადადებები და შენიშვნები, რომელიც კომისიამ 2023 წლის 24 ნოემბრის №6 სხდომაზე განიხილა (დასკვნა:დ95. 95233281 თარიღი: 24/11/2023)

შენიშვნები გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის მერიაში გასათვალისწინებლად. 2023 წლის 08 დეკემბერს (წერილის ნომერი 12-95233426-95; წერილის თარიღი: 08.12.2023) საკრებულოში ცვლილებების გათვალისწინებით შემოვიდა ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განახლებული პროექტი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ჯემალ ტაკიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი (წერილის ნომერი: 12-95233426-95, წერილის თარიღი 08.12.2022 წელი).

საკითხის შესახებ კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე).

კომისიამ გადაწყვიტა;

მიზანშეწონილად ჩაითვალოს 2023 წლის 08 დეკემბერს (წერილის ნომერი 12-95233426-95; წერილის თარიღი: 08.12.2023) ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ 13:00 საათზე კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში